



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასაკლამოების, ელევატორებისა და
სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის
ძირითადი შედეგები

2019
I კვარტალი



20.05.2019

www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


20.05.2019

სასაკლაოების, ელვაბთობებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები (2019 წლის I კვარტალი)

სასაკლაოები

2019 წლის I კვარტალში საქართველოში 99 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 24.2 პროცენტი - ქვემო ქართლში, 15.2 პროცენტი - კახეთში, 12.1 პროცენტი - იმერეთში, 12.1 პროცენტი - შიდა ქართლში, 10.1 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი 26.3 პროცენტი სხვა რეგიონებშია განთავსებული:

საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2019 წლის I კვარტალი



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.05.2019

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2019 წლის I კვარტლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 87.4 ათასი სული პირუტყვი, მათშორის 40.5 პროცენტი მსხვილფეხა, ხოლო 59.5 პროცენტი-წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 2,838.6 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2019 წლის I კვარტლის განმავლობაში 9,615.1 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 37.6 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 42.9 პროცენტი - ფრინველის, 15.9 პროცენტი - ღორის, 3.4 პროცენტი - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია.

მომსახურება გაეწია 9.1 ათას პირს, საიდანაც 40.9 პროცენტი შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილნი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 915 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის საფასური - 24.4 ლარი, ცხვრის ან თხის - 9.8 ლარი, ხოლო ღორის - 22.1 ლარი.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.05.2019

სამაცივრე მეურნეობები

2019 წლის I კვარტალში საქართველოში 68 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლის რეგიონში (47.1 პროცენტი) და ქ. თბილისშია (14.7 პროცენტი) განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის (13.2 პროცენტი), ქვემო ქართლის (8.8 პროცენტი), იმერეთის (7.4 პროცენტი), კახეთის (4.4 პროცენტი), მცხეთა-მთიანეთის (2.9 პროცენტი) და გურიის (1.5 პროცენტი) რეგიონში:

საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები რეგიონების მიხედვით, 2019 წლის I კვარტალი




2019 წლის I კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაენია 316 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 100 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 803 კაცით განისაზღვრა.

2019 წლის I კვარტლის განმავლობაში მაცივრეებში შენახული (განთავსებული) იყო 60.9 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 63.1 პროცენტი ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 17.3 პროცენტი პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 7.5 პროცენტი ხილი და ბოსტნეული, 7.4 პროცენტი - თევზი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

20.05.2019

მაცივრებში შენახული პროდუქციის სტრუქტურა, 2018 წლის IV კვარტალი



სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2019 წლის I კვარტლის განმავლობაში შესყიდულია 4.7 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს - 2.9 მლნ. ლარი შეადგინა.

2019 წლის I კვარტლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 36.0 მლნ. ლარის ღირებულების (9.8 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (53.0 პროცენტი) იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 87.6 პროცენტი მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (52.8 პროცენტი), თევზი (19.5 პროცენტი) და ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით) (19.2 პროცენტი) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან უცხოურ ბაზარზე ქათმის ხორცი, ხილი და ბოსტნეული იქნა რეალიზებული.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 55.4 პროცენტს, თებერვალში - 52.5 პროცენტს, ხოლო მარტში 47.6 პროცენტს.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.05.2019

ელევატორები

2019 წლის I კვარტალში საქართველოში 23 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა აუმრავლესობაც ქვემო ქართლის (39.2 პროცენტი) რეგიონში იყო განთავსებული. ელევატორების 26.1 პროცენტი ფუნქციონირებს შიდა ქართლის რეგიონში, 17.4 პროცენტი ქ.თბილისში, 13.0 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში და 4.3 პროცენტი გურიის რეგიონში:

საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2019 წლის I კვარტალი




2019 წლის I კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაენია 13 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 72 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 928 კაცით განისაზღვრა.

2019 წლის I კვარტლის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 101.0 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 64.8 პროცენტს წარმოადგენდა ხორბალი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას (სიმინდი, ქერი, ქათო და ა.შ) უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

20.05.2019

ელევატორში შენახული პროდუქციის სტრუქტურა,
2019 წლის I კვარტალი



2019 წლის I კვარტლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 48.3 მლნ. ლარის ღირებულების 63.7 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 52.2 პროცენტი იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) წარმოშობის პროდუქციაში, როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით, ჭარბობდა ხორბლის ფქვილი, რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის 77.1 პროცენტი.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 41.0 პროცენტს, აპრილში - 39.5 პროცენტს, ხოლო მარტში 37.7 პროცენტს.

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge